



7391/4-2/21 2 14072021

7391/4-2/21

14-07-2021

ზურაბ ჟვანიას სახელობის

სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის დირექტორს,

ქალბატონ ქეთევან ჯაყელს

ქალბატონო ქეთევან,

მოგახსენებთ, რომ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი აქტიურ ზედამხედველობას უწევს უკანასკნელ წლებში ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტის გაუმჯობესების მიზნით მიღებულ საკანონმდებლო აქტების იმპლემენტაციის პროცესს. აღნიშნული საკანონმდებლო აქტები, სხვა საკითხებთან ერთად, მუნიციპალიტეტებისთვის მნიშვნელოვან უფლებამოსილებებსა და ვალდებულებებს ითვალისწინებს, რომელთა ეფექტიანი შესრულებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა მუნიციპალიტეტებში დასაქმებული მოხელეების სათანადო კვალიფიციური მომზადება.

გიგზავნით დოკუმენტს, სადაც მუნიციპალიტეტების მიხედვით წარმოდგენილია ინფორმაცია მუნიციპალურ საჯარო მოხელეთა პროფესიული საჭიროებების შესახებ. ვსარგებლობთ რა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებით, გთხოვთ, გაეცნოთ აღნიშნულ დოკუმენტს და მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- გაგაჩნიათ თუ არა სათანადო რესურსი (რეგიონული მოცვა, შესაბამისი პროფილის ტრენინგების შეთავაზება და სხვა) ამ დოკუმენტში წარმოდგენილი საჭიროებების უზრუნველსაყოფად?
- თბილისის მუნიციპალიტეტის გარდა, რამდენად ხშირია და რომელი მუნიციპალიტეტები მოგმართავენ მათი საჯარო მოხელეების გადამზადების თაობაზე? გთხოვთ ასევე მოგვაწოდოთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელმა მუნიციპალიტეტმა მოგმართათ ასეთი მომსახურების მისაღებად, რა ტრენინგების ჩასატარებლად, რამდენს შეადგენდა მომსახურების ღირებულება (გთხოვთ ეს ინფორმაცია მოგვაწოდოთ წლების მიხედვით).

- არის თუ არა თქვენი პროგრამები მოთხოვნადი მუნიციპალიტეტების მხრიდან? უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ გაგვიზიაროთ მიზეზთა თქვენეული შეფასება.

დანართი: „1“ ფაილი

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი  
მიხეილ სარჯველაძე

მ. სარჯველაძე



სსიპ ზურაბ ჟვანიას  
სახელობის სახელმწიფო  
ადმინისტრირების სკოლა



MES 4 21 0000738666



23/07/2021

საქართველოს პარლამენტის წევრს,  
ბატონ მიხეილ სარჯველაძეს

ბატონო მიხეილ,

2021 წლის 14 ივლისის ნომერი: 7391/4-2/21 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა შეიქმნა 2005 წლის 10 ივნისს, საქართველოს პრეზიდენტის №476 ბრძანებულებით. სკოლა წესდებით დადგენილი მანდატის ფარგლებში მუშაობს საქართველოს რეგიონებში სახელმწიფო და ადგილობრივი მართვის სფეროში არსებული საკადრო დეფიციტის დაძლევისა და საქართველოს მაღალმთიან და ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მცხოვრებ მოქალაქეთა ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობაზე.

სწორედ აღნიშნული მანდატის ფარგლებში სკოლა ახორციელებს საჯარო მართვისა და ადმინისტრირების პროგრამას, რომლის მიზანია თვითმმართველობის მოხელეთა კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის დონის ამაღლება, დეცენტრალიზაციისა და სხვა რეფორმების განხორციელების ხელშეწყობა.

ამასთან, თქვენს წერილში დასმულ საკითხებთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ:

1. ჟვანიას სკოლა 2014 წლიდან ახორციელებს საჯარო მართვისა და ადმინისტრირების პროგრამას, იკვლევს მუნიციპალიტეტების სატრენინგო საჭიროებებს, ქმნის და ავითარებს ისეთ სატრენინგო პროგრამებს, რომლებიც ადგილობრივ თვითმმართველობებს ეხმარება, რომ ჰყავდეთ კომპეტენტური და პროფესიონალი კადრები. სკოლა ამჟამად ბენეფიციარებს სთავაზობს დარგობრივ სატრენინგო პროგრამებს 22 მიმართულებით, რომლებიც მოიცავენ თქვენს მიერ მოწოდებული დამატებითი ტრენინგების თემატიკას. „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილების მიხედვით 2019 წელს ჟვანიას სკოლამ ერთერთმა პირველმა მიიღო აკრედიტაცია საბაზისო პროგრამაზე: „მოხელის მენეჯერული უნარები“ და „პროფესიული და პროფესიული კომპეტენციების განვითარება“.

სკოლა ბენეფიციარებს მრავალფეროვან და ხარისხიან სერვისს სთავაზობს და აწვდის. მსმენელებს შეუძლიათ ისარგებლონ სატრენინგო პროგრამებით, რომლებიც:

- მორგებულია მათ საჭიროებებსა და მიზნებს;
- ტარდება, როგორც ონლაინ, ასევე პირისპირ, ან ჰიბრიდული ფორმით;
- სტანდარტული ხანგრძლივობისაა, ან ინტენსიური.

აღსანიშნავია სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ქ. ქუთაისში, რომელიც ერთდროულად 100-ზე მეტი მსმენელის მიღებისა და განთავსების შესაძლებლობას იძლევა. ასევე მნიშვნელოვანია სერვისების/პროგრამების მიწოდების გეოგრაფიული დაფარვის არეალი, 12 ლოკაცია (ქ. თბილისი, ქ. ქუთაისი, ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და კახეთი). ჟვანიას სკოლის გუნდი და ტრენერთა კორპუსი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური პროფესიონალებისაგან. სკოლა მუდმივად აუმჯობესებს საკუთარი საქმიანობის ეფექტიანობას, შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან, 2018 წლის დეკემბრიდან ფლობს განახლებულ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დამადასტურებელ ISO 9001:2015 სერტიფიკატს.

1. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტთან, 2019 წლიდან დღემდე საბაზისო აკრედიტებული პროგრამებით, „მოხელის მენეჯერული უნარები" და „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარება" ისარგებლა საქართველოს 22-მა მუნიციპალიტეტმა, გადამზადდა თვითმმართველი ერთეულების 219 თანამშრომელი.

სულ 2014 წლიდან დღემდე საჯარო მართვის და ადმინისტრირების პროგრამის ფარგლებში გადამზადდა 2809 საჯარო მოხელე. ამასთან, როგორც უშუალოდ მსმენელების, ასევე მათი დამსაქმებლების შეფასებები სატრენინგო პროგრამებისა და მთლიანად სკოლის მიმართ, რომელიც მუდმივად ტარდება, ყოველთვის იყო და არის უაღრესად დადებითი.

1. 2014 წლამდე პროგრამა ფინანსდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ხოლო 2016 წლიდან დღემდე პროგრამების მიწოდება ხორციელდება მუნიციპალიტეტების მოთხოვნის მიხედვით, სახელმწიფო შესყიდვებისთვის დადგენილი საკანონმდებლო ნორმების შესაბამისად (იხ. დანართი #1 - სტატისტიკური მონაცემები).

დანართი N1 - სტატისტიკური მონაცემები.

დირექტორი  
ჯაყელი ქეთევან

